

## ტესტი კითხვარი

65 წლის მამაკაცი მოგმართავთ საღამოს მიღებაზე და აღწერს, რომ ვახშომობის დროს უეცრად განუვითარდა კრუნჩხვა. მეუღლე ამტკიცებს, რომ ადრე მსგავსი რამ არასოდეს შეუნიშნავს. როგორც ჩანს, მამაკაცს ჰქონდა მარჯვენა ზედა და ქვედა კიდურის კუნთების კრუნჩხვითი შეკუმშვა, რაც გრძელდებოდა დაახლოებით 5 წუთის განმავლობაში. მან ცოტა ხნით დაკარგა გონება.

ანამნეზური მონაცემებიდან საყურადღებოა, რომ პაციენტი ხანგრძლივი მწვევლია (ეწევა 80 პაკეტ სიგარეტს წელიწადში) და აღენიშნება ქრონიკული ბრონქიტი. გასინჯვით რაიმე ნევროლოგიური პათოლოგია არ ვლინდება. არტერიული წნევა 150 მმ. ვწყ.სვ. პულსი 96 წუთში, რიტმული.

1. პირველი (კრუნჩხვა) და მეორე (ქრონიკული ბრონქიტი და მძიმე მწვევლობა) ფაქტორების გათვალისწინებით, ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელი დებულებაა ჭეშმარიტი?

- არ შეიძლება არსებობდეს არავითარი ურთიერთკავშირი ამ ორ პრობლემას შორის.
- ძალიან მცირეა ალბათობა იმისა, რომ ეს ორი პრობლემა ურთიერთდაკავშირებულია.
- არსებობს გარკვეული ალბათობა იმისა, რომ ეს პრობლემები ურთიერთკავშირშია.
- ძალიან მაღალია ალბათობა იმისა, რომ პირველი და მეორე პრობლემა მჭიდროდაა დაკავშირებული ერთიმეორესთან.
- ჩვენ არა გვაქვს არავითარი საფუძველი, რის მიხედვითაც შეგვიძლია მათ შორის ურთიერთკავშირზე ვიმსჯელოთ.

2. რა ტიპის გულყრას მიეკუთვნება კონკრეტულ შემთხვევაში აღწერილი გულყრა?

- მარტივი პარციალური გულყრა
- კომპლექსური პარციალური გულყრა
- აბსანსი
- ტონურ-კლონური კრუნჩხვა (გრანდ მალ)
- მიოკლონური გულყრა

3. რა არის ამ ასაკის პაციენტებში კრუნჩხვის ყველაზე ხშირი მიზეზი?

- იდიოპათიური
- იატროგენური
- თავის ტრავმა
- ტვინის სიმსივნე
- გადატანილი ინსულტი

4. ქვემოთ ჩამოთვლილი მედიკამენტებიდან რომელი არ არის შერჩევის პირველი რიგის პრეპარატი ამ პაციენტის შემდგომი კრუნჩხვების პრევენციისათვის?

- ფენიტონი
- კარბამაზეპინი
- ფენობარბიტალი
- ვალპროის მჟავა
- ეთოსუქსიმინი

5. ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელი გამოკვლევის ჩატარებაა ყველაზე უფრო მიზანშეწონილი დიაგნოზის დასადასტურებლად?

- ტვინის მაგნიტურ-ბირთვულ რეზონანსული გამოკვლევა

- ბ) ელექტროენცეფალოგრაფია
- გ) ტვინის სისხლძარღვების ანგიოგრაფია
- დ) ტვინის სკანირება
- ე) გულმკერდის კომპიუტერული ტომოგრაფია

5. მეუღლის თანხლებით მოგმართავთ 22 წლის მამაკაცი. პაციენტის გადმოცემით ბაღში მუშაობის დროს მან უეცრად დაკარგა გონება და დავარდა მიწაზე. მან სუნთქვა დროებით შეწყვიტა. ეს დაახლოებით 45 წამი გაგრძელდა, ამას მოჰყვა ოთხივე კიდურის კრუნჩხვითი შეკუმშვა, რაც 2-3 წუთს გაგრძელდა. ამის შემდეგ 3-4 წუთში პაციენტს გონება დაუბრუნდა. გასინჯვით პაციენტი რამდენადმე გაბრუებულია. ენაზე აღენიშნება დიდი ზომის, ხოლო ტუჩებზე მცირე ლაცერაციები. ნევროლოგიური გასინჯვით სხვა პათოლოგია არ ვლინდება. სასიცოცხლო ფუნქციები ნორმაშია. რა ტიპის გულყრასთან გვაქვს საქმე?

- ა) მარტივი პარციალური გულყრა
- ბ) კომპლექსური პარციალური გულყრა
- გ) აბსანსი
- დ) ტონურ-კლონური გულყრა (გრანდ მალ)
- ე) მიოკლონური კრუნჩხვა
- ვ)

6. ქვემოთ ჩამოთვლილი მედიკამენტებიდან რომელი არ არის შერჩევის პირველი რიგის პრეპარატი ამ პაციენტში შემდგომი კრუნჩხვების პრევენციისათვის?

- ა) ფენიტონი
- ბ) კარბამაზეპინი
- გ) ფენობარბიტალი
- დ) პრიმიდონი
- ე) ეთოსუქსიმინი

7. დედამ თქვენთან მოიყვანა 12 წლის გოგონა. მისი გადმოცემით უკვე ექვსი თვეა, რაც თავად მან და ბავშვის მასწავლებელმაც შენიშნეს, რომ იგი გარკვეული მომენტებში უაზროდ იცქირებოდა სივრცეში. ეს ჩვეულებრივ 30-45 წამი გრძელდებოდა. ზოგჯერ ამას ახლდა ყველა კიდურის სწრაფი უნებლიე მოძრაობა. ნევროლოგიური გასინჯვით რაიმე პათოლოგია არ გამოვლინდა. რომელია ყველაზე მეტად სავარაუდო დიაგნოზი ამ შემთხვევაში?

- ა) მარტივი პარციალური კრუნჩხვა
- ბ) კომპლექსური პარციალური კრუნჩხვა
- გ) აბსანსი
- დ) მიოკლონური კრუნჩხვა
- ე) არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი

8. ქვემოთ ჩამოთვლილი განცხადებებიდან, რომელიც ანტიეპილეფსიური მკურნალობის დაწყებას ან შეწყვეტას შეეხება რომელია სწორი?

- ა) ანტიეპილეფსიური მკურნალობის შეწყვეტა თავისუფლად შეიძლება, თუ პაციენტს უკვე ერთი წელია კუნჩხვა აღარ აღენიშნება.

## ეპილეფსია

- ბ) ანტიეპილეფსიური მედიკამენტები უნდა დაენიშნოს ყველა პაციენტს, ვისაც ჰქონია კრუნჩხვა.
- გ) ანტიეპილეფსიური მედიკამენტები უნდა დაინიშნოს ორი ან მეტი პრეპარატის კომბინაციით.
- დ) გადაწყვეტილებას ანტიეპილეფსიური მედიკამენტების შეწყვეტის შესახებ საფუძვლად უნდა დაედოს ელექტროენცეფალოგრაფიის მონაცემები.
- ე) არც ერთი ჩამოთვლილი არ არის სწორი

**9. ქვემოთ ჩამოთვლილი გამოკვლევებიდან რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი კრუნჩხვის აღმოცენების შემთხვევაში პაციენტის მდგომარეობის შესაფასებლად?**

- ა) ეეგ
- ბ) ტვინის მაგნიტურ-ბირთვულ რეზონანსული გამოკვლევა
- გ) ტვინის კომპიუტერული ტომოგრაფია
- დ) თავის ქალას რენტგენოგრაფია
- ე) ა, ბ და გ
- ვ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი

**10. ქვემოთ ჩამოთვლილი განცხადებებიდან ეპილეფსიური სტატუსის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შესახებ რომელია სწორი?**

- ა) ტონურ-კლონური ეპილეფსიური სტატუსის ყველაზე ხშირი მიზეზია ანტიეპილეფსიური მკურნალობის რეჟიმის დარღვევა.
- ბ) ეპილეფსიური სტატუსით განპირობებული სიკვდილობის მაჩვენებელი 20%-ს აღწევს.
- გ) სასუნთქი გზების გამავლობის აღდგენა ეპილეფსიური სტატუსის მართვის მთავარი პირობაა.
- დ) ეპილეფსიური სტატუსის მართვისათვის შერჩევის პირველი რიგის პრეპარატია დიაზეპამი ინტრავენურად.
- ე) ყველა ზემოთ აღნიშნული განცხადება სწორია.

**11. ქვემოთ ჩამოთვლილი მდგომარეობებიდან რომელი შეიძლება გახდეს არაეპილეფსიური კრუნჩხვის განვითარების მიზეზი?**

- ა) ჰიპოკალცემია
- ბ) ჰიპომაგნეზიემია
- გ) პირიდოქსინის დეფიციტი
- დ) თირეოტოქსიური შოკი
- ე) ა, ბ და გ
- ვ) ყველა ჩამოთვლილი

**12. ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელია ყველაზე ხშირი ნევროლოგიური პათოლოგია?**

- ა) ეპილეფსია
- ბ) გაფანტული სკლეროზი
- გ) ინსულტი
- დ) ბულბალური მიასთენია
- ე) ბელის (სახის ნერვის) დამბლა